ბაქოს პირველი საერთაშორის ტურიზმის ფილმების ფესტივალის ჟიურის შემადგენლობა გახდა ცნობილი ოთხშაბათი, 13 ნოემბერი 2013 19:29

20-დან 24 ნოემბრამდე ნიზამის კინოცენტრში ბაქოს პირველი საერთაშორისო ტურიზმის ფილმების ფესტივალი გაიმართება. ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში 31ქვეყნიდან 78 ფილმია შესული.

კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს ინფორმაციით, ფილმებს კინემატოგრაფებისგან, ასევე მოგზაურობისა და ტურიზმის ექსპერტებისგან შემდგარი შვიდკაციანი საერთაშორისო ჟიური შეაფასებს. ჟიურის სამი წევრი აზერბაიჯანელია - აზერ გარიბი, ვასიფ ბაბაევი, ჯამილ ფარაჯოვი, 4 კი უცხოელი - ალექსანდრ კამელი (ავსტრია), ლელა კრსტევსკა (მაკედონია), დევიდ კუპერი (დიდი ბრიტანეთი) და გრიგორის კოულბანისია (შვეიცარია).

1 / 1